B18011712

გადახდის ნომერი: **EN1505855**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B18011712**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 02/02/2018 16:28:15
განცხადების ნომერი: 1505855
განცხადების მიღების დრო: 02/02/2018 16:27:48

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერია// წარმომადგენელი: ირმა მაისურაძე/34001000942/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **437977496**

თანდართული დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- მინდობილობა იხილეთ **#B18003665** განაცხადში წესდება ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება **#134**, 02.02.2018 წელი

მომსახურება: 1 დღის ვადაში 0 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

1505855

გადახდის ნომერი: EN1505855

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **ონის მუნიციპალიტეტის მერია**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი:
წარმომადგენელი: **ირმა მაისურაძე**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **34001000942**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **ონი ზ.ქაფიანიძის შეს. N 6**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

საიდენტიფიკაციო კოდი: **437977496**

შესაცვლელი რეკვიზიტი

- საფირმო სახელწოდების ცვლილება
- სადამფუძნებო დოკუმენტების ცვლილება

თანდართული დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- მინდობილობა იხილეთ **#B18003665** განაცხადში წესდება ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება **#134**, 02.02.2018 წელი

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

იურიდიული მისამართი: **ქ. ონი, აღმაშენებლის მოედანი #1**
ფაქტობრივი მისამართი: **ქ. ონი, აღმაშენებლის მოედანი #1**
ტელეფონი: **557434404**
ელ-ფოსტა: **onitouristcenter@gmail.com**

მომსახურება : 1 დღის ვადაში 0 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ ონის მუნიციპალიტეტის მერია /

წარმომადგენელი პირი: ----------/ ირმა მაისურაძე /

განცხადების წარდგენის თარიღი: 02/02/2018 16:27:48

ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ქ. ონი

N 134
02/02/2018

134-02-4-201802021533

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის ცენტრი“-ს (ს/კ-437977496) საქმიანობის სახის ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მოხდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის ცენტრი“-ს (ს/კ-437977496) საქმიანობის სახის ცვლილება;
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის ცენტრი“-ს (ს/კ-437977496) საქმიანობის სახის ცვლილების შემდეგ სუბიექტის სახელწოდებად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი“;
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი“-ს წესდება თანდართული სახით;
4. დანართი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

მერაბ ორდინიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელის 2018 წლის
02 თებერვლის N 134 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი''

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ტურისტური ცენტრი" (შემდგომში- ,,ცენტრი'') არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-სა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი"-ს საფუძველზე;
2. არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

მუხლი 2. სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

1. ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-თ, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი"-თ, ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. ცენტრის სრული სახელწოდებაა - .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი''- ს/კ 437977496;
3. ცენტრის იურიდიული მისამართია- ქ.ონი დ. აღმაშენებლის მოედანი N1;
4. ცენტრს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი; ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა;
5. ცენტრის ელექტრონული მისამართია: ელ. ფოსტა-onitouristcenter@gmail.com

მუხლი 3. ცენტრის დამფუძნებელი

1. ცენტრის დამფუძნებელია ონის მუნიციპალიტეტის მერია (მისამართი ქ. ონი დავით აღმაშენებლოის მოედანი N1);

მუხლი 4. ცენტრის მართვა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი;
2. ცენტრის დირექტორი:
ა) ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-თ დადგენილი წესით ცენტრის თანამშრომლებთან აფორმებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს, იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ;
ბ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
გ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოების შესახებ დადგენილი წესით;

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი:
მ. ორდინიძე

დ) ანხორციელებს ცენტრის ფინანსური რესურსებისა და ქონების მართვას, მისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხს აგებს მათ სწორად გამოყენებაზე;
ე) ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს ცენტრის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), განსაზღვრავს ცენტრის შრომით შინაგანაწესს და ანხორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;
ზ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;
თ) ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და სტრუქტურას;
ი) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებას ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;
კ) წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის კანონით აკრძალული;
ლ) ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;
მ) ცენრტის კონტროლს ანხორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი მერიის შიდა აუდიტის მეშვეობით.

მუხლი 5. ცენტრის მიზნები

1. ცენტრის მიზნებია:
ა) ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
ბ) წინადადებების შემუშავება ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით;
გ) ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და შეგროვება;
დ) ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.

მუხლი 6. ცენტრის საქმიანობა

1. ცენტრის საქმიანობა:
ა) ცენტრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით საჭირო წინადადებებისა და პროგრამის შემუშავება და მათი განხორციელება;
ბ) ცენტრი ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის ცენტრის, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხასიათს.

მუხლი 7. ცენტრის ქონება და ფინანსები

1. ცენტრის ქონება და ფინანსების წყაროებია:
ა) ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი სუბსიდიები;
ბ) გრანტები;
გ) შემოწირულობები;
დ) ტურისტული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული სახსრები;
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;
2. მიღებული სახსრები ცენტრმა უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად;

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი:
მ. ორდინიძე

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას ან მის ორგანიზებულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას და ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. ქონების გასხვისების საჭიროების შემთხვევაში ანხორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 8. საზოგადოების რეორგანიზაცია ლიკვიდაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ონის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით;
2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს;
3. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგსტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან;
4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს;
5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის;
6. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ;
7. ლიკვიდაციას ანხორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დამფუძნებლების ნამდვილობაზე;
2. ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი:
მერაბ ორდინიძე

ONI MUNICIPALITY CITY HALL GEORGIA 237978275

პირადი ნომერი	34001000942
სახელი	**ირმა**
მამის სახელი	უშანგი
გვარი	**მაისურაძე**
დაბადების თარიღი	1978-06-16T00:00:00
დაბადების ადგილი	საქართველო, ონი
მისამართი	**ონი ზ.ქაფიანიძის შეს. N 6**
პირადობის მოწმობის სერია	13IK87538
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2015-06-05T00:00:00
მოქმედების ვადა	2025-06-05T00:00:00
მოქალაქეობა	საქართველო
ორმაგი მოქალაქეობა	()
რეგ. თარიღი	1998-07-20T00:00:00
სტატუსი	**აქტიური**
ფოტოები	

ბეჭდვა